საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного совета народных депутатов

№36 (6262) შაბათი, 1990 წლის 24 მარტი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

20 მარტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომაზე, დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთოთხმეტე სესია.

სესიამ განიხილა საკითხები:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე;

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანის შესახებ.

ორივე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ.

სესიამ მიიღო საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი.

სესიამ დაადგინა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები გადატანილ იქნეს შესაბამისად 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების რწმუნების ვადა გაგრძელდება.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

ჩვენი სოფლის ადამიანები

დასაყრდენი, საიმედო მშრომელი

ლაილაში თავისი სილამაზით, ჰაერით, მზითა და წყლით გამორჩეული სოფელია რაიონში. აღნიშნული სოფლის კოლმეურნეობა, რომელიც თავის შემადგენლობაში ოთხ სოფელს აერთიანებს, უკვე მეორე გაზაფხულია, რაც ოჯახურ იჯარაზე გადავიდა და მთლიანად გასცა ყველაფერი, რაც კი ებადა. მაგრამ ამ მიგრაცია გააქტიურებულ რეგიონში მიწის მთლიან ფონდს როდი გაუჩნდა პატრონი, რადგან სულ აღნიშნულ სასოფლო საბჭოში 150 ოჯახია კარჩაკეტილი. მიწა გარკვეულ ფართობზე დაუხნავი დარჩა, ვაზი კი მოუვლელი.

სოფლები დაგვეცალა, მაგრამ ღმერთმა არ ქნას, დაგვიდგეს დრო, რომ ჩვენს სოფლებში საქები და ქვეყნის ერთგულებით ანთებული კაცი სინათლით საძებნი გახდეს.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში შემავალ სოფელ თაბორში არიან ადამიანები, რომლებიც გამოცდილებას და შესაძლებლობას არ იშურებენ მოსავლიანობის გასაღიდებლად, თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად. ერთი მათგანია მიშა ქარსელაძე, რომელიც წლების მანძილზე მშობლიურ სოფელში ბრიგადირი იყო. მაშინაც კარგი მაგალითის მიმცემი იყო თანასოფლელებისთვის, ხოლო როცა კოლმეურნეობის რიგითი მოჯარე გახდა, მოსავლელად 0,4 ჰექტარი სასიმინდე, 0,05 ჰექტარი ვენახი გაიპიროვნა, მეცხოველეობის ფერმიდან ერთი სახარე მოზარდი გაიყვანა, რისთვისაც 0,2 ჰექტარი სათიბი გამოუყვეს. ახლა უფრო გამოჩნდა მისი ძალა და შესაძლებლობა. ხალხური სიბრძნე ამბობს „ამინდი საქმეს აკეთებდა, კაცი კი იკვეხნიდაო", მაგრამ მიშა ქარსელაძეს ამინდისა თუ უამინდობის პირობებში ყოველთვის კარგი მოსავალი მოჰყავს, პირის გატეხა რა საკადრისიაო და კოლმეურნეობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიმინდიც და ლობიოც ჩააბარა, ვენახი კი მუშაკაცია და უფრო მეტი უნდოდა გაეპიროვნებინა, მაგრამ ამ მთიან სოფელს ვაზი ძალზე მცირე რაოდენობით შემორჩა და მეტის საშუალება არც იყო, ხოლო რასაც უვლიდა იქედან, რაც შეიძლებოდა მოსავალიც მაღალი მიიღო.

სოფელში საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარების ყოველგვარი პირობებია, კარგი ოჯახური მეურნეობა აქვთ და მიშა ქარსელაძის ოჯახმა გასულ წელს 305 კილოგრამი ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს.

ახლა სულ სხვა დამოკიდებულება ყალიბდება მარჩენალი მიწისადმი, საგულდაგულოდ დამუშავებას ითხოვს ბაღ-ვენახები, ზვრები და სასიმინდე ფართობები. დღითიდღე სასიკეთოდ იცვლება სოფლის მშრომელის ფსიქოლოგია, მუშა კაცში თანდათან იღვიძებს წლობით მიძინებული მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონის გრძნობა, რაც საფუძველია იმისა, რომ სოფელში იმრავლოს მიშა ქარსელაძის მსგავს მშრომელთა რიცხვმა, რაც უხვი მოსავლის და წაქცეული სოფლის ფეხზე წამოდგომის საწინდარი გახდება.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ

რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური გარდაქმნების გაღრმავების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-6, მე-7 და 49-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. საქართველოს კომუნისტური პარტია, სხვა პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე პროფკავშირული, ახალგაზრდული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა ფორმებით თანაბარ საფუძვლებზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში".

„მუხლი 7. ყველა პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მასობრივი მოძრაობა, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში. დაუშვებელია ისეთი პარტიების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილებისა და მთლიანობის ძალადური შეცვლა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება".

„მუხლი 49. საქართველოს სსრ მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, მონაწილეობდნენ მასობრივ მოძრაობებში, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური აქტიურობისა და თვითმოქმედების განვითარებას, მათი მრავალგვარი ინტერესების დაკმაყოფილებას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის".

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 20 მარტი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმში შემოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების, დეპუტატობის კანდიდატების, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სამეცნიერო და სახწავლო დაწესებულებების წინადადებები 1990 წლის 25 მარტს დანიშნული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და ამავე წლის 17 ივნისს დანიშნული ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

წერილებსა და მომართვებში გამოთქმულია აზრი არჩევნების აღნიშნულ ვადებში ჩატარების მიზანშეუწონლობის შესახებ. წარმოდგენილი მოსაზრებები დასაბუთებულია მრავალპარტიულობის შემოღების მოტივით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები გადატანილ იქნეს 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. შესაბამისად გაგრძელდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მე-11 მოწვევისა და ადგილობრივი საბჭოების მე-20 მოწვევის დეპუტატთა რწმუნების ვადა.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშაოს და წარმოადგინოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე წინადადებები რესპუბლიკის კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 20 მარტი.

მეხილეთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ამინდის პირობების შესაბამისად საჭიროა საწყრაფოდ დავიწყოთ ხეხილის ბაღების წამლობა პრეპარატ 30-ის 5 პროცენტიანი ხსნარით, რაც კალიფორნიის ფარიანას წინააღმდეგ გამოიყენება.

ხეხილის წამლობას წინ უნდა უსწრებდეს ბაღის გასხვლა და სხვადასხვა სახის სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება.

ბაღის წამლობა უნდა ჩატარდეს წყნარ, უქარო ამინდში, მაშინ, როცა ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურა 5 გრადუსზე ნაკლები არ არის. შესასხურებელი ნაზავი დამზადდება შემდეგნაირად—ყოველ 100 ლიტრ წყალზე აიღება 5 კილოგრამი პრეპარატი №30.

ცაგერის ზონის სიგნალიზაციისა და პროგნოზის დამკვირვებელი პუნქტი.

უნდა აღდგეს საქალაქო საბჭო

მიმდინარე წლის 16 თებერვალს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ საკითხის დასმის წესით დაიბეჭდა სიღნაღელთა კოლექტიური წერილი „ქალაქი ხელისუფლების გარეშე“, რომელშიც ისინი გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გაუქმებულია საქალაქო საბჭო და მოითხოვდნენ მის აღდგენას. ჩვენც ვუერთდებით მათ სამართლიან მოთხოვნას.

ცაგერი ლეჩხუმის ისტორიული ცენტრია. ჯერ კიდევ ადრე, შუა საუკუნეებში ცაგერი წარმოადგენდა ლეჩხუმ-სვანეთის საეპისკოპოსოს ცენტრს, სადაც იჯდა ეპისკოპოსი „ცაგარელი“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრრამ გაკეთდა ცაგერის, როგორც ეთნოგრაფიული კუთხის ცენტრის კეთილმოწყობისათვის. დღეს ქალაქში ფუნქციონირებს სავაჭრო, საზკვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ადგილობრივი მრეწველობისა და სასურსათო კომბინატები, ღვინის ქარხანა, სხვა წარმოება-დაწესებულებები. მის ტერიტორიაზეა ორი საშუალო, ერთი არასრული საშუალო სკოლა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, მუსიკალური, სამხატვრო და სპორტული სკოლები, არის კულტურის სახლი, კინოთეატრი, მხატვრობითმცოდნეობის და დიდების მუზეუმები, სურათების გალერეა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება რაიონული საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, პოლიკლინიკა და ა. შ.

ცაგერელები ამაყობენ თავიანთი საყვარელი ქალაქის წარსულით, აწმყოთი და მომავლით. ქალაქი მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობითაც.

რაიონული დაქვემდებარების ქალაქად ცაგერი გამოცხადდა 1970 წელს და მას შემდეგ სადაბო საბჭოს ნაცვლად მას სათავეში ედგა საქალაქო საბჭო, რომელიც უნარიანად ასრულებდა დაკისრებულ ფუნქციებს.

მაგრამ მოხდა ისე, რომ გასულ წელს გაუქმდა საქალაქო საბჭო, რომელიც 53 დეპუტატს აერთიანებდა. მის ნაცვლად შეიქმნა ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭო, რომელშიც გადავიდა წინათ საქალაქო საბჭოში შემავალი სოფლების 36 დეპუტატი, ხოლო ქალაქში არჩეულ 17 დეპუტატს გაუუქმდა სტატუსი და დღეს ქალაქის მცხოვრებლებს თავიანთი დეპუტატები არ ყავთ, გარდა რაიონული საბჭოსა. ამასთან რაისაბჭოს აღმასკომთან შეიქმნა საქალაქო საბჭოს შემცვლელი „საბინაო კომუნალური განყოფილება“, ეს მაშინ, როცა ქალაქში მანამდეც იყო და ახლაც ფუნქციონირებს კომუნალურ საწარმოთა კომბინატი, თავის საბინაო განყოფილებით.

საქალაქო საბჭოს გაუქმებას არავითარი ეკონომიკური ან სხვა დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, საქალაქო საბჭოს გაუქმებამ ბევრი სიძნელე და უხერხულობა შეუქმნა ქალაქის მოსახლეობას.

საინტერესოა, ვის მოუვიდა აზრად, რომ ქალაქის მოსახლეობისა და დეპუტატების დაუკითხავად გაეუქმებინა საქალაქო საბჭო?

დღეს, როდესაც ამდენს ვლაპარაკობთ საჯაროობასა და დემოკრატიაზე, ხალხის დაუკითხავად ასეთი ნაბიჯის გადადგმა არასწორია. მით უმეტეს, იმიტომ, მთელი ძალაუფლება საბჭოებს — [illegible] ერგვარ ძალა, პირიქით, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამე რიგგარეშე ყრილობაზე კიდევ უფრო მკვეთრად გაისმა ხმა, გავაღლიერთ საბჭოების როლი ქვეყნის მართვაში.

გამოვხატავ რა ჩვენი ქალაქის მთელი მოსახლეობის აზრს, აუცილებლად მიმაჩნია, რომ აღდგეს ცაგერის საქალაქო საბჭო, რომლის საზრუნავი კვლავ იქნება ქალაქის მოსახლეობა. იმასთან დაკავშირებით, რომ გათვალისწინებულია კოლმეურნეობების ნაცვლად შეიქმნას გლეხური მეურნეობები, კარგი იქნება, თუ ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭო დარჩება ცალკე, მას გამოეყოფა და შეიქმნება ჩხუტელის სასოფლო საბჭო.

ნ. ნემსაძე.

მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა

თანადგომას ითხოვს დედა

დღეს, როდესაც საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა არასახარბიელოა, ერის ძლიერების მოსურნენი სასოებით შესცქერიან ყოველ მრავალშვილიან ოჯახს, სადაც სამშობლოს მომავალი გვეზრდება, ერის ფუძე შტკიცდება, ამიტომაც ვუწოდებთ ქართველ დედას ერის გადამრჩენს, ვთვლით ბედნიერად, რომ ბედისგან ერგო მრავალშვილიანი ოჯახის დედობ-

ის ტვირთი. თუმც, რეალურია ისიც, რომ გულშემატკივრის პოზიციიდან გვიჭირს შეფასება ამ ტვირთის სიმძიმის ძალისა, ნაკლებად გვესმის ის პრობლემები, რომლებიც სავალალოდ, არც თუ იშვიათია ჩვენს მრავალშვილიან ოჯახებში და რომლებსაც მატერიალური ხელმოკლეობა თუ ყოფისათვის დამაკმაყოფილებელი პირობების უქონლობა ქმნის.

ბავშვის ფსიქიკა კი უტყუარი გრძნობით აღიქვამს მის ირგვლივ არსებული სამყაროდან თუნდაც უმცირეს უყურადღებობას, რომელიც შემდეგ ბავშვობის ტკივილიან მოგონებად რჩება. მზრუნველი დედის გული გრძნობს ყოველივეს და სამართლიანად ითხოვს დახმარებას ოფიციალური ორგანიზაციებისაგან თუ სხვადასხვა საზოგადოებისაგან. ქალბატონი ნათელა კოპალიანიც მაშინ გავიცანი, როდესაც საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების მისამართით განცხადებას წერდა, ქალთა რაიონულ საბჭოსაც მიმართა, კუთვნილ დახმარებას, მცირედ უყურადღებას ითხოვდა ხუთი შვილის დედა.

—წუწუნი, თავის შეცოდება არ მიყვარს, მაგრამ ბავშვების გამო... ვფიქრობდი, ადგილზეც დამეხმარებოდნენ, მაგრამ როგორც ვატყობ, ვერც მე მივაგენი და ვერც მათ მომაგნეს. არადა, ჩვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 70 მანეთია, ჩემი მეუღლის, მეორე ჯგუფის ინვალიდის პენსია,—მეუბნება ხუთი შვილის დედა, ვგრძნობ, როგორ უჭირს, ოჯახის ხელმოკლეობაზე რომ მიყვება.

სოფელ ზარაგულიდან ბარდნალაში გადმოსახლებული ეორა კოპალიანის საცხოვრებელი სახლი და კარ-მიდამო 1981 წელს დაიმეწყრა, დიდი ტკივილი იყო ეს ნათელასა და ეორას ახლადშექმნილი ოჯახისათვის. ცოლ-ქმარს, მაშინ გვერდით ამოუდგნენ, დაეხმარენ, სოფელ ჭალისთავში საცხოვრებელი მიწის ნაკვეთი გამოუყვეს, 800 მანეთი დახმარება მისცეს. თუმც, უკვე მეორე ახალმოსახლეობას რეალურად გაცილებით მეტი სჭირდებოდა, ოჯახიც მრავლდებოდა. სახლი ააშენეს, ორიოდე ოთახი მოაწყვეს და მოულოდნელად ოჯახის მამას ავადმყოფობა მოეძალა. ეორა, რომელიც ოცდაათ წელზე მეტი ხნის მანძილზე მუშაობდა ცაგერის, წიფერჩის კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში, დაინვალიდდა, პენსია მინიმალური ოდენობის დაინიშნა. ახალი ხაკარმიდამო ნაკვეთიც ქვიანი აღმოჩნდა და ცოლ-ქმრის მიერ დარგულმა ხეხილმა მოსავლით ვერ გაახარა მრავალშვილიანი ოჯახი.

—ძველი ნამოსახლი ნოყიერი კი იყო, მაგრამ ისე დაზარალდა ნიგვზებიც, ყველაფერი ხილი, რომ ჭანჭურიღა შეგვრჩა. ნამეტი მოსავალი რომ გვქონდეს, ბავშვებს დავიხმარებდი, გავყიდიდი, ოჯახის შემოსავალი გაიზრდებოდა, სახლი მოსათავებელია, ცემენტი მჭირდება, ბავშვები იზრდებიან, ყოველდღე ახალი საფიქრალი მემატება. ჯანმრთელი გოგოები რომ მყავს, იღბლად ვთვლი, თორემ მაგათ რომ რაიმე სტკიოდეთ... გამიჭირდებოდა—მიყვება ნათელა.

უმცროსი შვილები, ოთხისა და ექვსი წლისანი, საბავშვო ბაღში დადიან, მათ გადასახადი არ ხდებათ, ამას შეღავათად თვლის, მაგრამ უკვე სამი თვეა ბავშვების კუთვნილი ყოველთვიური დახმარება 12 მანეთი არ მიუღია, დახმარების შეწყვეტის მიზეზის განმარტება აინტერესებს.

რომ განმიმარტონ, საჭიროა არა ერთხელ მივაკითხო, მე კი დრო არ მაქვს, ბაშვებს სკოლაში რომ გავისტუმრებ (უფროსი შვილი 12 წლისაა), უმცროსები ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღში მიმყავს. სკოლის შემდეგ ბავშვებს შინ უნდა დავხვდე, ქალის საქმეს რა გამოლევს ოჯახში, ამიტომაა, რომ სოფლიდან მოშორებით მუშაობის დაწყება არ შემიძლია, არადა ოჯახს როგორ წაადგებოდა ჩემი ხელფასის შემოსავალი.

ნათელას ამ ნაამბობის შემდეგ, არც თუ ძნელია იგრძნო ხუთ მცირეწლოვანზე ზრუნვით, სოფლის ოჯახით გადატვირთული დედის, მართლაცდა დილიდან გვიან ღამემდე დამქანცველ შრომაში გალეული დღე, გასაგებია მოუცლელობაც ეძებოს სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მისამართები, წეროს თხოვნები, დამეხმარეთო.

მაშინ, როდესაც ლეჩხუმში, სამწუხაროდ, მრავალშვილიან დედათა რიცხვი არცთუ ისე დიდია, არ უნდა გვესმოდეს მხოლოდ სმენისათვის საამო გამონათქვამად სიტყვები ერის გამრავლებაზე, საქართველოს უკვდავებაზე. ღმერთმა მოგვცეს ნიჭი არა მარტო საქართველოს უკვდავების შემქმნელი დედის მოდგმის სიმრავლით გამოწვეული ბედნიერების შეგრძნებისა, არამედ ნიჭი დანახვისა იმ უამრავი საფიქრალ-საზრუნავისა, რომელიც თან ახლავს მრავალშვილიანი ქართული ოჯახის წესსა და რიგს. ყური მივუგდოთ, თანადგომას ითხოვს დედა.

ლ. ცხვედიანი.

ჯუჯაპალიტრის ბვირჩევა

ვებრძოლოთ ვაზის მავნებელს

კვირტის ჭია ვაზის სამში მავნებელია. ეს არის მონოფაგი, იკვებება მარტო ვაზის კულტურით. გავრცელებულია იქ, სადაც ვაზი მოყავთ. წელიწადში იძლევა ერთ თაობას, მავნებელი იტალიაში ზამთრობს ჭუპრის ფაზაში, საფრანგეთში კვერცხის სახით, ხოლო დანარჩენ სხვა ქვეყნებში მატლის სახით. ამის გამო ჩვენს კავშირში და ძირითადად დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში იწვევს ვაზის სერიოზულ დაზიანებას, რადგან მეზამთრეობიდან გამოსული ნაშიმშილარი მატლები ხარბად იკვებებიან დაბერილი ნაზი კვირტებით და ხშირად იგი კვირტების 80-90 პროცენტს ანადგურებს, რაც ზოგჯერ არცთუ იშვიათად გამხდარა ვენახების ამოძირკვის მიზეზი, აღნიშნულის გამო კვირტის ჭიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემის დროულად გატარება მეტად აქტუალურია. ბრძოლა რომ რაციონალურად ჩატარდეს, საჭიროა მავნებლის და მასთან ბრძოლის თანამედროვე საშუალებების გაცნობა, გამოყენების წესების დაცვა.

კვირტის ჭია, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს პირობებში ზამთრობს ზრდადაუსრულებელი მატლის სახით ვაზის შტამბზე, სარების ნაპრალებში, ნიადაგში, ველური მცენარეების ღეროების გულში. მეზამთრეობიდან გამოსვლას მატლები იწყებს 3-4 დღით ადრე ვაზის კვირტების დაბერვამდე. მოძრაობენ შტამბზე, რქებზე ელოდებიან კვირტების დაბერვას. დაიბერება თუ არა კვირტები, მატლი ჭრის მას, შედის შიგნით, ანადგურებს კვირტების შიგთავსს, იგივე მატლი გადადის მეორე და მესამე კვირტზე და ასწრებს სამი კვირტის დაზიანებას ფოთლის გამოჩენამდე, დაზიანებული კვირტები უვარგისია, მასში ყურძნის მოსავალი ჩანასახშივე იღუპება. განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს კვირტის ჭიას, როცა ტემპერატურა დაბალია, რადგან კვირტების გაშლა ჭიანურდება და კვირტების დიდი რაოდენობა ნადგურდება. ფოთლების გამოჩენის შემდეგ მატლები კვებას აგრძელებენ მასზე და მეხუთე და მეექვსე ასაკის მატლები ფოთლის ფართს მთლიანად ჭამენ მაისის ბოლო რიცხვებში (26-28), აღწევენ სრულ ასაკს და იჭუპრებენ.

ჭუპრის ფაზა გრძელდება 20-22 დღეს. ივნისის მესამე დეკადაში გამოფრინდება პეპელა, დამატებითი კვების გარეშე იწყებს განაყოფიერებას, იძლევა სქესობრივ პროდუქციას 7-8 დღის განმავლობაში, 500-700 ცალ კვერცხს. კვერცხებს პეპელა ბიოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე ათავსებს ნამხრის ფოთლებში ქვედა მხრიდან. 8-10 დღის შემდეგ ივლისის პირველ დეკადაში ვაზზე ვხვდებით პირველი თაობის მატლებს, რომლებიც არიან ჯგუფებად და იკვებებიან იმავე ფოთლის ღრუბლისებრი „პარეანქიმით“. კვებას აგრძელებენ აგვისტოს ბოლო ან სექტემბრის 10-15 რიცხვებამდე, რის შემდეგ იზამთრებენ. უნდა აღინიშნოს, რომ მავნებელი იკვებება ვაზზე არსებული ზედმეტი ნაწილებით, რასაც ბევრი მეურნე და თვით პასუხისმგებელი პიროვნებაც ყურადღებას არ აქცევს, არც ატარებს ბრძოლის არავითარ ღონისძიებებს, რაც საფრთხეში აყენებს ვაზის კულტურას გაზაფხულზე, სადაც მისი კერებია.

კვირტის ჭიის მოზამთრე ადგილების ცოდნა იძლევა ბრძოლის ღონისძიებათა ეფექტურ საშუალებას, მექანიკურად ზამთრის პერიოდში, იქ, სადაც მავნებლის კერებია, ვაზის შტამბი უნდა გავწმინდოთ ქერქისაგან და დაიწვას, რითაც მცირდება მავნებლის საზაფხულო რაოდენობა.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

რამდენი რამ გტკივა ლეჩხუმო

ეკოლოგიური, სოციალური, სანიტარული პრობლემები გადაწყვეტას მოითხოვენ

ამ წერილის ავტორმა კარგად იცი, რომ მარტო წერილების წერითა და სკა-ბაასით, ქალაქის სანიტარული, ეკოლოგიური, სოციალური პრობლემები არ გადაწყდება, მაგრამ იძულებული ვართ ჩვენი სატკივარი კვლავ გამოვიტანოთ ხალხის შეფასების სამსჯავროზე, რითაც შევახსენებთ მავანსა და მავანს რომ, სამსახურებრივი, მოქალაქეობრივი თუ პატრიოტული ვალი ქალაქის საყოფაცხოვრებო პრობლემების გადასაწყვეტად აქტიური თანადგომითა და პრაქტიკულ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებით გამოხატოს. დიახ, არ გვინდა თავი მოვაბეზროთ მოსახლეობას ჩვენი გაუთავებელი თხოვნა-დარიგებებით იმის შესახებ, რომ საყოფაცხოვრებო ანარჩენებით და ნაგვით მდინარეების და ნიადაგის გაბინძურების შედეგად ეკოლოგიური წონასწორობის თუ რა უარყოფითმა შედეგებმა შეიძლება იჩინოს თავი. მაგრამ, ღრმად გვწამს, რომ თუ სპეციალისტები დროულ და სრულ ინფორმაციას არ მიაწვდიან მოსახლეობას, შეიძლება იფიქრონ, ყველაფერი რიგზეა და ეკოლოგიური პროცესები ნორმალურად მიმდინარეობსო.

მარტისა თუ ზამთრის თვეებში ნალექების სიუხვე თვალშისაცემია, ამ დროს მომაბეზრებელია ნიაღვრები და მდინარეები. ჰოდა, თუ ერთხელ დაკვირვებიხართ, უეჭველად შენიშნავდით წყლის ზედაპირზე მოტივტივე და წყალში შეტივნარებულ შავ მასას, რომელიც ცხიმოვანი აპკის სახით გადაკვრია წყლის ზედაპირს და მიედინება უფრო დიდი მდინარისა თუ წყალსატევებისაკენ, უდავოა ნავთობპროდუქტების უმეტესი ნაწილი მდინარეებში ხვდება, სხვა დანარჩენი ნიადაგში ილექება. პირველ შემთხვევაში ნადგურდება მდინარეების ბიოლოგიური სტრუქტურა (ფლორა, ფაუნა), ამავე მიზეზით ნიადაგი იცვლის თავის ქიმიურ შედგენილობას ნორმალური ეკოლოგიური პროცესების საზიანოდ, ხოლო გარემოს მაღალი ტემპერატურის პირობებში, აორთქლების შედეგად ატმოსფერული ჰაერი გაჯერებულია ტოქსიკური ნივთიერებებით, რომლებიც პათოლოგიურ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის, ცოცხალი ორგანიზმების სასუნთქ და პარენქიმიულ ორგანოებზე, რითაც საგრძნობლად ამცირებენ სიცოცხლის უნარიანობას, ან დამღუპველად მოქმედებენ მასზე. რაიონის სინამდვილეში მსგავსი შეხების წერტილები უამრავია, მათ შორის გარემოს მნიშვნელოვანი გაჭუჭყიანების ობიექტებია: ქ. ცაგერის ლენინის ქუჩის დასაწყისში არსებული ბენზინისა და ზეთსაცხების გასამართი ჯიხური, აქვე არსებული ნავთოპროდუქტების გასაყიდი მაღაზია, ასათიანის ქუჩის ბოლო მონაკვეთში არსებული ბენზინის გასამართი ჯიხური, მსუბუქი ავტომანქანების პროფილაქტორიუმი, 23-ე საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველოს ბენზინისა და საცხების გასამართი ჯიხური, ამავე საგზაოს დაქვემდებარების ასფალტის ქარხანა თავისი სარემონტო საამქროთი, ალპანის ბენზინის გასამართი ჯიხური, საგზაო სამმართველოს ბენზინის გასამართი, რაიონის საკოლმეურნეო ნავთობპროდუქტების საწყობები და ნავთობპროდუქტების მაღაზიები, ავტოსატრანსპორტო საწარმო, საკოლმეურნეობათშორისო საამშენებლო ორგანიზაცია და მრავალი სხვა ობიექტი.

თითოეული აღნიშნული ობიექტი არ წარმოადგენს გარემოს მნიშვნელოვანი გაბინძურების წყაროს, მაგრამ ყველა ერთად აღებული უდავოდ მნიშვნელოვანი გაბინძურების კერაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რაიონის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების გასწვრივ შავ ზღვამდე მრავალი დასახელებული პუნქტი, ქალაქი და რაიონული ცენტრია, რომლებიც მეტნაკლებად აბინძურებენ ამავე მდინარეებს, მაშინ ადვილად წარმოსადგენია გაბინძურების ხარისხი და მოცულობა. ვთხოვთ ზემოაღნიშნული საწარმოების ხელმძღვანელებს, უმოკლეს დროში განახორციელონ სანიტარულ-გამჯანსაღებელი ღონისძიებები გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რისთვისაც მოაწყონ ნავთობპროდუქტების დამჭერები.

მკითხველისათვის გაურკვეველი რომ არ დარჩეს, განვუმარტავთ, რომ ნავთოპროდუქტებით გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის შესახებ საკითხი სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომზე მრავალჯერ განხილულა და მიღებულია ვრცელი გადაწყვეტილებები ობიექტებში ნავთობპროდუქტების დამჭერი სალექარების მოწყობის შესახებ. მაგრამ მდგომარეობა უცვლელი დარჩა, გაჭუჭყიანების კერების გაჯანსაღება—ლიკვიდაციისათვის არავის უზრუნია, აღნიშნული საფუძველს გვაძლევს კვლავ დავუბრუნდეთ საკითხს, რადგანაც რაიონის გარემოს გაჯანსაღების პრობლემა დღის წესრიგში დგას.

ახლა, როდესაც ერის ინტელექტუალური გონება მიპყრობილია ეროვნული დამოუკიდებლობის პრობლემების გადაწყვეტისადმი, ხოლო სახალხო მეურნეობის ეკონომიკის მართვის სისტემაში გაურკვევლობაა და ყველაფერს თავისი სახელი არ დარქმევია, ერთგვარად შესუსტდა მომთხოვნელობა ადმინისტრაციული სამსახურის მიერ იმ წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც მოვალენი არიან ადგილებზე პრაქტიკულად ახორციელებდნენ მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, დაქვემდებარების რეგიონებში სტაბილური ეკოლოგიური სიტუაციის დასამკვიდრებლად.

კვლავ ვუბრუნდებით ქალაქის ტერიტორიაზე არსებული წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების ეზოებში, ქალაქის ქუჩებში გამეფებული ანტისანიტარული კერების, ქალაქის სასმელი წყლით მომარაგების დახასიათებას. ვუბრუნდებით, რადგან იგი არა მარტო ეკოლოგიური და ჩვენი ქალაქის კულტურული იერსახის ჩამოყალიბების პრობლემებთანაა დაკავშირებული, არამედ მათი მოწესრიგებით ვქმნით წინასწარ პროფილაქტიკურ წანამძღვარებს მოსახლეობის მწვავე ნაწლავთა და ზოგიერთ სხვა ინფექციების შემცირებისა და აღმოცენების თავიდან ასაცილებლად.

არ იქნებოდა სწორი მოსახლეობა დავადანაშაულოთ ქალაქის ქუჩებსა და მდინარის ნაპირებს ანაგვიანებენო (თუმცა გარკვეულწილად ბრალეულნი არიან), საჭიროა კომუნალური სამსახურის ხელმძღვანელობამ ქალაქის ტერიტორიაზე გააფართოვოს მოსახლეობიდან ნაგვის გაზიდვის ორგანიზაცია, რაც ერთგვარი პროფილაქტიკური ღონისძიება იქნება უნებლიე ნაგავსაყრელების საფიქრალი-ოდ.

კომუნალური სამსახურის მინისტრაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ მრავალჯერ აღგვნიშნავს და კვლავ ვიმეორებთ, რომ არ შეიძლება ნორმალური ვუწოდოთ ქალაქიდან ნაგვის გაზიდვას და ქუჩებისა და საკვერების დაგვადასუფთავების დღევანდელ მდგომარეობას. მომსახურებაში მოქცეულია მხოლოდ ცენტრალური ქუჩების გარკვეული ნაწილი, ამასთან ნაცვლად მომსახურების გაფართოებისა, პირიქით, ამცირებენ მის მოცულობას, რადგან მეეზოვეთა შტატები დაუკავებელია, ხშირია სპეცდანიშნულების ტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევები. ზოგიერთი სპეცტრანსპორტი ხშირად გამოიყენება არადანიშნულებისამებრ, რის შედეგად ქუჩებში და ნაგვის შემკრებ ყუთებთან კვირაობით, ზოგჯერ თვეობით ყრია ნაგავი, რაც ქმნის არა მხოლოდ ანტისანიტარულ, არამედ რეალურ წინაპირობას ნაწლავთა ინფექციების აღმოცენება-გავრცელებისას, თუ ვინმეს ნათქვამში ეჭვი ეპარება, შეუძლია ფაქტები თავისი თვალით იხილოს რაისაბჭოს, 40-ბინიანი №1 და №2 სახლების, რესტორნის, სტალინის ქუჩაზე არსებული საცხოვრებელი ბინების საქმიან ეზოებში. ჩვენი სურვილია მკითხველზე ადრე დაინტერესდნენ მოწოდებული სამსახურები და დაგვარწმუნონ, რომ ნათქვამი არასწორია.

ჯ. ყვირილიანი,
რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).



მონოლითისაგან ნაგები ეს ორიგინალური შენობა აღიმართა თბილისის გლდანის საცხოვრებელი მასივის მეხუთე მიკრორაიონში. იგი ააგო რესპუბლიკური გაერთიანება „საქმონოლითმშენის“ კოლექტივმა.

ორიგინალური შენობის პროექტი შეიმუშავეს არა მარტო არქიტექტორებმა და კონსტრუქტორებმა, არამედ ინჟინერ-ტექნოლოგებმა და ინჟინერ-მშენებლებმაც.

ქართველ სპეციალისტთა სიახლეს დიდი შეფასება მისცა ქვეყნის სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტმა.

ახალ შენობაში განლაგდა საბავშვო ბაღი. პატარების განკარგულებაშია ნათელი მყუდრო ოთახები, ყვავილებით, აკვარიუმებით მორთული მოედნები, მოჰიკჰიკე ჩიტები. ბავშვებს ძალიან მოეწონათ სპორტული და საცეკვაო დარბაზები, დასვენების, თამაშისა და გართობისათვის გამოყოფილი ადგილები.

სურათზე: საბავშვო ბაღის მონოლითური შენობა გლდანის მასივში.

თოფმა გადაარჩინა

ლეჩხუმის მაზრის გლეხთა 1918 წლის ცნობილ აჯანყებაზე, მიუხედავად დიდი ხნის გავლისა, კვლავ ახალი მასალები ჩნდება. ბევრი მათგანი ზეპირსიტყვიერებაშია შემონახული, მათი მომსწრეები ჯერ კიდევ ცოცხლობენ.

1918 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში სოფელ ლუხვანოსა და ქულბაქში გამართულ უკანასკნელ ბრძოლებში აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ მენშევიკურმა გვარდიამ დაიკავა ეს სოფლები. მოსახლეობა ტყეებსა და მთებში გაიხიზნა. გვარდიელებს ადგილზე არცერთი კაცი არ დაუხვრეტიათ. მხოლოდ დასაშინებლად მეთაურების სახლ-კარს ცეცხლს უკიდებდნენ და აპარტახებდნენ. ასე დაწვეს ლუხვანოში ივანე ბუნდელიანის, ზაქარია ქომეთიანის, თედორე დოლბაიას და საბა სვანიძის სახლები (სვანიძის შვილი გრიშა სვანიძე აჯანყების აქტიური მონაწილე იყო).

გრიშა სვანიძის სახლი კიბაბოლის უბანში იყო, ხის ფიცრულ სახლს ცეცხლი ადვილად მოეკიდა, გვარდიელები კი შორიდან შესცქეროდნენ ზეცაში ავარდნილ ალს. ამ დროს ოფიცერთა ჯგუფისაკენ გაემართა სოფლის თავკაცი გიორგი საღინაძე. ოფიცრები მას ხელის ჩამორთმევით შეხვდნენ, საუბარში გიორგიმ უთხრათ: რა დააშავეს ამ ქალებმა და ბავშვებმა. მაგრამ ალმოდებულ სახლს ვინ უშველიდა.

სოფლის მამასახლისმა ოფიცრები იქვე ახლოს, თავის სახლში მიიპატიჟა. სტუმრებს დარბაზში შეუძღვათ და დაჯდომა შესთავაზათ, თვითონ გაემართა ხორაგის და ღვინის მოსატანად.

ძველ ქართულ ოჯახებში არსებობდა უძველესი წესი, ყველა შეძლებულ ოჯახს კედელზე მიმაგრებული ჰქონდათ ნოხი, ნაქსოვები, რომელზედაც ჩამოკიდებდნენ ოჯახში არსებულ საუკეთესო ნივთებს: მოოქროვილ ვერცხლის ქამარ-ხანჯლებს, დამბაჩებს, კაჟიან თოფებს, მოჭედილ უნაგირებს, ფაფახ ქუდებს, წიგნებს, მედლებსა და ორდენებს, სასმისებს, გარდაცვლილთა სამახსოვრო ნივთებს. ეს იყო სახლის მშვენება და პატარა საოჯახო მუზეუმიც. ოფიცრებმა დაათვალიერეს გამოფენილი ნივთები, ვერცხლით მორთულ მოოქროვილ გრძელ კაჟიან თოფზე ამოიკითხეს წარწერა: „ჩემ ძმადნაფიც გიორგი საღინაძეს ვაჟიშვილის ლევანის დაბადების მოლოცვისათვის. კონსტანტინე დადიანი“. ამან გააოცა ოფიცერი ლევანი, რომელიც ამ კონსტანტინეს შვილი იყო. ოფიცრები მაგიდას გულდამშვიდებით მიუსხდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგის სთხოვეს მოეთხრო ამ თოფის შესახებ. მან უამბო: „ჩემი ბატონი კონსტანტინე დადიანი ხშირად დადიოდა ჩვენთან მთებში სანადიროდ, ძმადნაფიცობა გვქონდა, ჰყავდა ქალიშვილები და წუხდა რომ ვაჟი არ შეეძინა და ამბობდა „უმემკვიდრეოდ მივდივარ ამ ქვეყნიდანო“.

რამდენიმე წლის შემდეგ გავიგე, რომ კ. დადიანს ბიჭი შესძენია. მაშინვე გავემართე ლეჩხუმური პურმარილით სამეგრელოსაკენ. დამბაჩების სროლით შევაღეთ ჭიშკარი და კონსტანტინეს მივულოცეთ დიდი სიხარული“.

ახალგაზრდა ოფიცერი სკამიდან წამოდგა, გიორგის აკოცა და თქვა: ის ბიჭი ლევან კონსტანტინეს ძე დადიანი მე ვარო.

სიხარულის ცრემლები აკიაფდა ორთავეს თვალებში. მაშინ სოფელ ლუხვანოში 500 ოჯახი იყო და ასობით კაცი მონაწილეობდა აჯანყებაში, მაგრამ ამის შემდეგ არცერთი სახლი არ დაუწვავთ და არცერთი კაცი არ დაუპატიმრებიათ.

ასე გადაარჩინა მეგობრული წარწერით ნაჩუქარმა თოფმა სოფელი.

ჯუმბერ საღინაძე.

სოფელი

25 მარტი წმინდა მეფე დიმიტრი თავდადებულის ხსენების დღეა

დავ**ს**დებ სულსა ჩემსა

საქართველოს ისტორია გმირული ისტორიაა. ძნელბედობის უამს, როცა მამულს უჭირდა, როცა მისი ბედი სასწორზე იდო და სასწაულიღა თუ გადაარჩენდა, ჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც სიცოცხლის ფასად კისრულობდნენ ერის ხსნის მისიას—მეფე იქნებოდა ის, დედოფალი, ბერი თუ ერისკაცი, გლეხი თუ მხედარი. ერის ისტორიამ ბევრი იცის ასეთი—ზვარაკად შეწირული ქართველი—წმინდანად რომ შერაცხა ხალხმა. წმინდა ზვარაკი გახლდათ მეფე დემეტრე II-ც, შემდგომ დიმიტრი თავდადებულად წოდებული.

მეფე დემეტრეს წინააღმდეგობრიობით აღსავსე ცხოვრება და სიკვდილი კარგად ასახავს საქართველოს მაშინდელ სალმობას. იგი გახლდათ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე-ბატონის დავით ულუს უმრწმესი ვაჟი, უფროსი ძმის სიკვდილის შემდეგ რომ იქცა ტახტის მემკვიდრედ. მონღოლთა ბატონობის შავბნელ დროში დაბადებულს (1259 წ) ურმობაშივე დაედგა ქედზე სახელმწიფოს მართვის მძიმე უღელი. დავით ულუს გარდაცვალებისას (1272-3 წწ) იგი თოთხმეტიოდე წლის თუ იქნებოდა. ეს ხელს აძლევდა აბაღა ყაენს, ამ საბაბით დაუნიშნა კიდევაც მცირეწლოვან მეფეს მზრუნველი, სინამდვილეში სამეფო კარის განმგებელი და მეთვალყურე. სრულწლოვანი გახდა თუ არა, დემეტრემ თავად მოკიდა ხელი სამეფოს მართვას და „იწყო საურავთა საქმეთა კეთილად განგება“, თუმცა ამ საქმეში სრული დამოუკიდებლობა მაინც ვერ მოიპოვა. ჰაბუკი მეფე მონაწილეობდა მონღოლი ყაენების ყველა ლაშქრობაში, როგორც ყმადნაფიცი ქვეყნის მხედრიონის სარდალი. „ოქროს ხანაში“ ნიკოფსიიდან დარუბანდამდის გადაჭიმული ქვეყნის ძლიერებაზე მზრუნველი ქართველობა ახლა სხვის ომებში იქნევდა ხმალს. ქართული სისხლი უზომოდ შეიწირა მონღოლ-ეგვიპტელთა ომებმა, მონღოლი ყაენების ურთიერთმტრობამ. მემატიანენი აღნიშნავენ ამ ომებში ქართველთა უმაგალითო გმირობას და თავგანწირვას(?!). მრავალგზის გადარჩა თავად მეფე დემეტრე უეჭველ სიკვდილს, თუმცა საბოლოოდ მონღოლ ნოინთა შორის პირველობისათვის გაუთავებელ ქიშპობას შეეწირა. ბუღა ნოინი, რომელმაც ვერ აიტანა მისი დახმარებით ყაენის ტახტზე აბრძანებული არღუნის ხელში მთელი ძალაუფლების აღება, გადაუდგა მას, შეეთქვა რამდენიმე ამირასა და ნოინს ყაენის მოსაკვდინებლად. შეთქმულება გამჟღავნდა და ბუღა ნოინს თავი მოჰკვეთეს. ასეთივე ბედი ეწია შეთქმული ნოინის ნათესავებს და მომხრეებს, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი შეთქმულებაში. ამ ამბავმა დიდი საფრთხე შეუქმნა აღმოსავლეთ საქართველოს, რადგან მეფე დემეტრე II ბუღა ნოინის მომხრედ ითვლებოდა. მონღოლთა ნახევრადველური, ბარბაროსი ტომებისაგან დანდობა წარმოუუდგენელი იყო, ამიტომ როდესაც ყაენის ელჩი ეახლა მეფე დემეტრეს და ურდოში მიუხმო, მან სასწრაფოდ მოიწვია სამეფო კარის დიდებულები და მღვდელმთავრები. როგორც უამთააღმწერელი მოგვითხრობს, მეფემ აუხსნა თავისი ორჭოფული მდგომარეობა დარბაზის წევრთ და მათ რჩევაზე, მთებისათვის შეეფარებინა თავი, უპასუხა:

„თუ არა წარვიდე ურდოთა და წარვიდე მთიულეთს სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძესა: იხილეთ, რაოდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან. ხატნი და ჯუარნი დაიმუსვრიან!.. და უკეთუ წარვიდე, დასტურობით უწყი მომკლავს!—და აწ სიბრძნითა თქვენითა განაგეთ. უკეთუ მე მომკლან ვჰგონებ, რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს!“

რაოდენი ბალღამი უდუღდა სულში სასიკვდილოდ თავგანწირულ მეფეს... როგორ არ ეევდრნენ დიდებულნი, არ მიეტოვებინა ერი, უმეფოდ დარჩენილი აუცილებლად რომ დაიბნეოდა, მიეცა ხალხისათვის თავისი მეფის დაცვის საშუალება, მაგრამ ურყევი იყო ხელმწიფის ნება: „მე დავსდებ სულსა ერისათვის ჩემის და არა დავიშლი ურდოსა წასვლასა“...

მთელი სახლობა და ტახტის მემკვიდრე გახიზნა თუ არა, ურდოში გაემგზავრა მეფე. სამეფო ქონების ჩამორთმევისა და გასამართლების შემდეგ 1289 წლის 12 მარტს (ახ. სტილით 25 მარტი) იგი სიკვდილით დასაჯეს.

ასე დაიღუპა დემეტრე მეორე, ტრაგიკული პიროვნება, ქველი და მამაცი, უბრალო მხედარი და სარდალი, „ულმოწყალე, „ქმნულ-კეთილი და მშვენიერი ხილვად“. მეფე, ქვეყნის დაცემის პირობებში უდიდესი ქონება რომ დააგროვა და რომელიც საოცარ გულმოდგინებას იჩენდა მონღოლთა ომებში. ეს თვისებები მას ძალიან ამსგავსებენ ბაბუას, ლაშა-გიორგის, რომელმაც ვერ გააგრძელა სახელოვანი დედისა და დიდი დავითის მეფური ტრადიციები. მაგრამ უდიდესი განსაცდელის უამს დემეტრე მეორემ გამოავლინა საუკეთესო ზნეობრივი და სულიერი თვისებები, უყოყმანოდ გასწირა რა საკუთარი თავი და ანაცვალა თავის ხალხს. ხალხმავე უწოდა მას თავდადებული, ხოლო შემდგომ ეკლესიამ წმინდანად შერაცხა იგი. ყოველწლიურად, 25 მარტს, ძველი სტილით 12 მარტს, დიმიტრი თავდადებულის მოკვდინების დღეს, საქართველოს სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს მის მოწამებრივ სულს.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ვებრძოლოთ ვაზის მავნებელს

(დასასრული).

ქიმიური ბრძოლის მეთოდიდან კვირტების დაბერვის პერიოდში გამოიყენება 0,3 პროცენტიანი ქლოროფოსის ან 0,2 პროცენტიანი ფოზალონის ემულსიები. (100 ლიტრ წყალზე 300 გრ, ხოლო ფოზალონის შემთხვევაში—200 გრ. პრეპარატი). ივლისის პირველი თაობის მატლების წინააღმდეგ მექანიკური ბრძოლის ღონისძიებიდან კარგ შედეგს იძლევა მწვანე ოპერაციების რამოდენიმეჯერ ჩატარება, რითაც მატლებს მოესპობათ საკვები და დაიღუპებიან.

ივლისის პირველი თაობის მატლების მიმართ ბრძოლის ღონისძიებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მიკრობიოლოგიური პრეპარატების გამოყენება. აქედან დღეისათვის ხმარებაშია დენდრობაცილინი, ბიტოქსიბაცილინი, გომელინი, ლეპიდოციდი, ინსექტანი და სხვა. აღნიშნული პრეპარატები მზადდება ფხვნილების სახით მწერის პათოგენური ანუ დაავადების გამომწვევი ბაცილინისაგან.

ბრძოლის ღონისძიება ივლისში ბიოპრეპარატებით კვირტის ჭიის პირველი თაობის მატლების მიმართ განსხვავებით ქიმიური მეთოდისაგან არ წარმოადგენს საშიშს არც ადამიანისათვის, არც რაიმე პროდუქტებისათვის, არის ღონისძიებათა ეფექტური საშუალება, რითაც ვსპობთ მავნებლის დიდ მარაგს.

მ. მარუაშვილი,

ბილოცავთ
აღდგომის ქრისტეშობას!

ნანა გახვას ასულ კოპალიანს
გოგი აქვსენტის ძე გოდეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ოჯახის სიმტკიცეს, ულევ სიხარულს, მრავალი შვილის შეძენას.

მანია სილაგაძე, თალიკო გუგავა, მერი გურგუჩიანი, ლალი ლარცულიანი, დოდო ჭაბუკიანი, ლამარა ბანძელაძე, ელისო ნემსაძე, ნინო კობერიძე, გულნაზ ქარსელაძე, ლუიზა ჩიქოვანი.

ინდირა ჯიმშერის ასულ ფოჩხიძეს
დამირ გრიგოლის ძე ქვარცხავას

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ მტკიცე, ფუძეძლიერი ოჯახის შექმნას.

ჩხუტელის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

ნანა გახვას ასულ კოპალიანს
გოგი აქვსენტის ძე გოდეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე და სიტკბოება.

ნაზიკო, ხათუნა, მურთაზ ჩაკვეტაძეები.

ნონა იურის ასულ ჩაკვეტაძეს
გოგი გურამის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს, მტკიცე, აკვანმრავალი ოჯახის შექმნას.

ცაგერის ბაგა-ბაღის კოლექტივი.

ნანული მინდღლის ასულ ცხვედიანს
ჯიგილო დადაშის ძე ღეშკაშელს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ გამრავლებას.

ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

მეუღლე დავითი, შვილები იური, თაილი, მურთაზი, ძმა მიხეილ ჩარკვიანი, რძლები ჟუჟუნა ლარცულიანი, დარეჯან გასვიანი, მულები ნინა, მარიამი, სიძე მამუდი არჯევანიძე, შვილიშვილები სერგო, მარინე, დათო, მაკა, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა გიორგის ასული
ჩარკვიანი-ლარცულიანი.

დაკრძალვა 29 მარტს, ხუთშაბათს, სოფ. ლარჩვალში.

მეუღლე მაყვალა, სიდედრი ტატიანა, ცოლისძმა რეზო, რძალი მაია ბაკურაძეები, ბიძა ოთარი, დეიდები თინა, ვერა ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ვაშაკიძე.

დაკრძალვა 27 მარტს, სამშაბათს, ქ. თბილისში, გამოსვენება დიღმის მასივი, მე-6 კვარტალი, მე-15 კორპუსი, მე-4 სადარბაზო.

ცაგერის რაი-ცენტრის აფთიაქისა და სოფლის საფთიაქო ქსელის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო (ნუცა) ილარიონის ასული ხვადაგიანი

დადაში მამარდაშვილი, მარო, ალექსანდრე, ვახტანგ, ზელიმ ბეგრეხელიძეები, რომან მუშკუდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ მალაქის ძე
მამარდაშვილი.

კულტურის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ტატიანა ყურაშვილს სიძის

გივი ვაშაკიძის

გარდაცვალების გამო.

შვილები ანზორი, ია, მთვარისა, რძალი გიული დიდებაშვილი, სიძეები დავით კუხალაშვილი, ავთო მუშკუდიანი, აკაკი ყურაშვილი, შვილიშვილები ბელა, ალეკო, ნონა, ნუგზარი, ოთარი, ნანა, რძალი ლენა, ძმისშვილი ვალერი ჯიაძე, მულები ვერა, სერონ, მარო, მულისშვილები, მაზლიშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა (ძაბუ) ანტონის ასული ჯიაძე-ბენიძე.

დაკრძალვა 27 მარტს, სამშაბათს, სოფ. ზუბში.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ სულიკო ხვადაგიანს მამიდის

ნუცა ხვადაგიანის

გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილები დადაში, დავით, ნუშარ, გიგლა, ბუჭუ ხვადაგიანები, სიძე გრიგოლი, ბიძაშვილის შვილი რომან ლეთოდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო (ნუცა) ხვადაგიანი-თოთაძე

აღვის სასოფლო საბჭოს აპარატის, კლუბ-ბიბლიოთეკის, საექიმო ამბულატორიის, კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნარგიზა ყურაშვილს მამიდის

ვერა ჩხეტიანის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.